საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №134
2024 წლის 18 აპრილი

ქ. თბილისი

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით (სსმ III, 29.11.2007 წ., №169, მუხლი 1871) დამტკიცებულ:

1. დანართ №2-ში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ბიუჯეტის განმკარგველის – 5369 – ა(ა)იპ – „გურჯაანის სატრანსპორტო სამსახური“ შემდეგ დაემატოს შემდეგი ბიუჯეტის განმკარგველები:

„1520[210]	5370	ა(ა)იპ „ქუთაისის ოლიმპიური საცურაო აუზი“;
1520[211]	5371	ა(ა)იპ „ქუთაისის ბოტანიკური ბაღი – მედეა“;

2. დანართ №3-ში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდის – 3557 – „შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალების გზაზე მიტოვებისათვის“ შემდეგ დაემატოს შემდეგი ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდი:

„შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	3558“.“

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის